8498/3-6/22 2 14092022

8498/3-6/22
14-09-2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის 28 მარტის ,,ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში“ მითითებულია, რომ 2019 წლის 22 მაისს ემისსა [განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა] და შპს „იუჯითის“ შორის გაფორმდა 5 წლიანი ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 2,330,354 აშშ დოლარს. ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულ იქნა Microsoft 365 A3 და A5 ტიპის ლიცენზიები, რომლებშიც სხვადასხვა პროგრამები იყო გაერთიანებული. აუდიტის პერიოდისთვის სრულად იყო შესყიდული 2021 წლის მდგომარეობით შესასყიდი ლიცენზიების რაოდენობა, რაშიც დაახლოებით 3,3 მლნ ლარია გადახდილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, სამინისტროს მიერ შესყიდული ოპერაციული სისტემების ლიცენზიებში გადახდილი თანხმები კითხვის ნიშნებს აჩენს, ვინაიდან ამ ლიცენზიების ათვისება სამინისტროს სისტემაში თითქმის არ მომხდარა.

შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გთხოვთ მოგვაწოდოთ:

- 2019 წლის 22 მაისს ემისსა [განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა] და შპს „იუჯითის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, დანართებთან ერთად.
- ინფორმაცია სამინისტროს მიერ ზემოხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული ოპერაციული სისტემის ლიცენზიების ღირებულება?
- ინფორმაცია, 2019 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) რა ოდენობის თანხაა გადახდილი ოპერაციული სისტემების ლიცენზიების შესაძენად?
- ინფორმაცია, თუ რატომ ვერ განხორციელდა აღნიშნული ლიცენზიების ათვისება სამინისტროს სისტემაში?
- ინფორმაცია, 2019 წლიდან დღემდე, თვეებისა და წლების მიხდებით, შესყიდული ლიცენზიებიდან რამდენი მომხმარებელია გააქტიურებული მასწავლებლების/ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიერ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან ბეჟაშვილი